რედაქტორისგან

ერთ წიგნზე მინდა გესაუბროთ, უფრო სწორად მინდა გითხრათ, რომ ინტერნეტგაზეთ „mastsavlebeli.ge“-ს საინტერესო და მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო რესურსები დაუგროვდა იმისათვის, რომ წიგნის გამოშვებაზე ეფიქრა და ეზრუნა. ასე დაიბადა ახალი სერია წიგნებისა- რომელსაც „მასწავლებლის წიგნი“ დავარქვით. ამ სერიის პირველ წიგნს, საქართველოს ყველა სკოლა მიიღებს საჩუქრად და შეგეძლებათ სკოლაში თავადაც გაეცნოთ და გამოიყენოთ.

წიგნების ამ სერიით გამოცემა ყოველწლიური გახდება. პირველ წიგნში სამი ავტორის: მარინე ჯაფარიძის, მაია ფირჩხაძის და მანანა ბოჭორიშვილის პუბლიკაციები შევიტანეთ. ჩვენი ჟურნალისა და გაზეთის მკითხველები მათ სტატიებს კარგად იცნობს. ამ წიგნის უპირველესი ღირსება მაინც ის გახლავთ, რომ მასში შესული პუბლიკაციები ქართულ ენაზეა შექმნილი და ყველა მეთოდი თუ სიტუაცია მორგებულია ქართულ რეალობას და არ წარმოადგენს მხოლოდ თეორიულ მსჯელობას და ანალიზს.

სანამ წიგნს თქვენ გადაშლიდეთ, მე კიდევ ერთხელ გადავავლე თვალი და ჩემთვის გავიფიქრე, რომ ამ სათაურების ქვეშ მოქცეული სტატიები მართლაც ძალიან მნიშვნელოვან დახმარებას გამიწევდა სწავლების პროცესში და პროფესიულ განვითარებაში: „მოსწავლეთა ცუდი ქცევის ფსიქოლოგიური მოტივები, პრევენცია, მართვა“, „როგორ დავეხმაროთ მოსწავლეებს იგრძნონ თავიანთი ინტელექტუალური კომპეტენტურობა“, „გაკვეთილისადმი ანალიზური მიდგომები -სასწავლო პროცესის უმნიშვნელოვანესი დეტალი“, „პედაგოგიური ექსპერიმენტი და სასწავლო პროცესი“, „გაკვეთილის წარმართვაში მოსწავლეთა მონაწილეობის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები, „მასწავლებელი-სასწავლო მასალის რესურსის და აქტივობის ავტორი“. თუმცა, ეს არასრული ჩამონათვალია ის პუბლიკაციებისა, რომელსაც ამ წიგნში წაიკითხავთ.

იმედი გვაქვს, რომ კრებული მნიშვნელოვან დახმარებას გაგიწევთ სასკოლო პრაქტიკის გაუმჯობესებაში, უკეთესი სასწავლო გარემოს შექმნასა და პროფესიულ განვითარებაში, რაც საბოლოოდ მოსწავლეთა შედეგებზე აისახება.

ნატო ინგოროყვა
მთავარი რედაქტორი

მასწავლებელი

N1(31), 2014

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149 UDC 371.1 ბ-374

მთავარი რედაქტორი: ნატო ინგოროყვა | **რედაქტორი:** ირაკლი კაკაბაძე | **რედკოლეგია:** გია მამულაშვილი, ირინა აბულაძე, თეა კვინტრაძე, ნათია ნაცვლიშვილი, ეკა ჯელაძე | **სტილისტი:** ირმა ტაველიძე | **დიზაინი:** ბესიკ დანელია | **ფოტო:** გელა ბედიანაშვილი | **მხატვარი:** მამუკა ტყეშელაშვილი | **კორექტორი:** ქეთევან ნიკოლეიშვილი.

ნომერზე მუშაობდნენ: ვიოლეტა კვირიკაშვილი, მარინე ჯაფარიძე, ქეთევან ოსიაშვილი, თამთა დოლიძე, მაია ინასარიძე, ნინო ლაბარტყავა, მაია ჯალიაშვილი, ლევან ალფაიძე, ზაქარია გიუნაშვილი, თორნიკე ჭელიძე, ირინე სამსონია, მანანა რატიანი, სოფიკო ლობჟანიძე

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე. ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

საკონტაქტო ინფორმაცია: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. მისამართი: თბილისი, გმირ კურსანტთა ქ. 1, ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

www.tpdc.ge

გამოცდილება

ვიოლეტა კვირიკაშვილი

4 | **წერითი მეტყველების განვითარების გზები დაწყებით კლასებში**

მოსწავლეთა მეტყველების დაბალი კულტურა მრავალგზის დადასტურებული ფაქტია და გადაულახავ სირთულედ არის ქცეული პრაქტიკოსი მასწავლებლების ყოველდღიურ ცხოვრებაში. არაერთი მცდელობის მიუხედავად, სწავლების სისტემაში ეს პრობლემა დღემდე მოუგვარებელია.

მარინე ჯაფარიძე

35 | **არის თუ არა დისციპლინა ჰუმანისტურ კლასებში**

ხშირად მასწავლებელი ისე ადგენს ქცევის წესებს, რომ არ ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მასთან ერთად კი არ ქმნის, არამედ პირდაპირ სთავაზობს. ეს მომენტიც განასხვავებს ერთმანეთისგან ტრადიციულ და ჰუმანისტურ მიდგომებს.

თამთა დოლიძე

52 | **ზოგი ჭირი მარგებელია, ანუ ოცდამეერთე საუკუნის ქვის ხანის სასწავლო დაწესებულებები**

მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის განკუთვნილ თანამედროვე სახელმძღვანელოებში დიდი ადგილი ეთმობა სასწავლო გარემოს მოწყობის მნიშვნელობას. მე, როგორც 90-იანი წლების მოუხეშავ ყავისფერ კაბასა და თეთრ წინსაფარში გამოკრულ, „გაობახტის“ მსგავს მერხებში ბავშვობაგატარებულ მოსწავლეს შეეფერება, დიდი სიხარულით შევხვდი პროფესიულ ლიტერატურაში მოსწავლის პირადი სივრცისა და უსაფრთხო გარემოს შექმნის აუცილებლობის შესახებ გაჩენილ პუნქტებს.



ქეთევან ოსიაშვილი

8 | **როგორ დავეხმაროთ ნიჭიერ ბავშვებს შესაძლებლობათა რეალიზებაში**

სტატიაში მოყვანილი რეკომენდაციების გათვალისწინება ნიჭიერი ბავშვის შესაძლებლობებისა და უნარების ზედმიწევნით გამოვლენის, მისი პიროვნების ჩამოყალიბების პროცესის სწორად წარმართვის, ასევე – მასთან ურთიერთობისას მრავალი გართულების თავიდან აცილების საშუალებას მოგვცემს.

მაია ინასარიძე

15 | **სანამ მოსწავლე წერას დაიწყებდეს**

ეს წერის პროცესის პირველი ეტაპია და გაცილებით ადრე იწყება, ვიდრე მოსწავლე წერას შეუდგებოდეს. გამოცდილება, დაკვირვებები, ურთიერთობები გავლენას ახდენს იმაზე, რას და როგორ დაწერს ის. ამიტომ წერის დაწყებამდე საჭიროა მოსწავლის წინარე ცოდნისა და სუბიექტური გამოცდილების გააქტიურება, აზრებისა და იდეების გენერირება.

ნინო ლაბარტყავა

33 | **ამბის მიტანა – პასუხისმგებლობიანი ქცევა თუ ირიბი აგრესიის გამოხატულება**

დაწყებითი კლასების მოსწავლეებს ხშირად მიაქვთ ენა მასწავლებლებთან, რომ თანაკლასელმა მათ აწყენინა ან, უბრალოდ, არასწორად მოიქცა. პედაგოგები დილემის წინაშე დგებიან: როგორ მოახდინონ რეაგირება იმგვარად, რომ არც მოსწავლის ჩივილი დატოვონ უყურადღებოდ და არც ასეთი ქცევა განუმტკიცონ?

შინაარსი

4

გლობალური სკოლა

ლევან ალფაიძე

18 **კენ რობინსონი: განათლების სისტემის ტრანსფორმაცია? – დიახ, ჩვენ ვალდებული ვართ, ეს გავაკეთოთ**

ადამიანი წარმოსახვისა და შემოქმედების უსაზღვრო ძალის პატრონია. ის თავად ქმნის თავის ცხოვრებას და თავადვე შეუძლია მისი გარდაქმნაც. ეკონომიკური კრიზისისა და გაურკვევლობის პერიოდებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საკუთარ თავში ღრმად ჩახედვა, იმის ჩაწვდომა, როგორი ცხოვრება გვსურს გვქონდეს და გარკვევა, რომელი ნიჭი შეგვაძლებინებს ამის განხორციელებას.

27-30

რესურსი

სოფიკო ლობჟანიძე

22 **შემოქმედებითი აზროვნების სწავლება უოლტ დისნეის „აზროვნების სამი სკამის“ დახმარებით**

უოლტ დისნეის მიერ კინემატოგრაფში დანერგილი ეს სტრატეგია მრავალ სფეროში გავრცელდა, მათ შორის – განათლებაშიც, სადაც იგი ცნობილია „აზროვნების სამი სკამის“ სახელწოდებით. სტრატეგია მოიცავს როგორც ანალიტიკურ-სისტემატურ, ასევე ინტუიციურ-კრეატიულ ელემენტებს.

მოსაზრება

მაია ჯალიაშვილი

11 **შემოქმედებითობა და თავისუფლება**

იცვლება დრო, განათლების პრინციპები, აღზრდის მეთოდები, მაგრამ მუდმივად რჩება დილემა: როგორ ვასწავლოთ, რათა სამყაროსა და საკუთარი თავის შემეცნებისკენ მიმავალი გზა მოსწავლისთვის იყოს მთავარი საფიქრალი, რომ მან შეძლოს დამკვიდრება იმ პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურსა თუ კულტურულ გარემოში, რომელშიც უნდა იცხოვროს როგორც თავისუფალმა პიროვნებამ.

ზაქარია გიუნაშვილი

25 **როდის და რატომ არის შედეგის მომტანი თამაშზე დაფუძნებული სწავლა**

თამაშების შექმნა, როგორც სასწავლო მიზნებზე ორიენტირებული აქტივობა, ჩვენ განვიხილეთ როგორც ძვირადღირებული სასწავლო თამაშების გამოყენების ალტერნატივა, და იმასაც გავუსვით ხაზი, რომ ეს აქტივობა ბევრი მიმართულებით უფრო მეტი შედეგის მომტანია. აქედან გამომდინარე, ძირითად ყურადღებას მივაქცევთ უფასო პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია სასწავლო მიზნებისათვის.

თორნიკე ჭელიძე

38 **კლასგარეშე ლიტერატურის მნიშვნელობა სასწავლო პროცესში**

სტატიაში, მინდა, კლასგარეშე ლიტერატურის არსებობის აუცილებლობაზე ვისაუბრო. რამდენად კარგად ასწავლიან სასკოლო პროგრამით განსაზღვრულ ტექსტებს, სხვა საქმეა, მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს, უდავოა, რომ ლიტერატურა, რომელიც დაუკავშირდება საგაკვეთილო მასალას, უნდა არსებობდეს.

ირინე სამსონია

42 **მშობლიური ენის სწავლების ზოგიერთი კონცეპტუალური საკითხის შესახებ**

მშობლიური ენა როგორც სასკოლო დისციპლინა ზოგადი განათლების ღერძს წარმოადგენს. სრულფასოვანი ენობრივი განვითარება, სამეტყველო უნარების სრულყოფა, კულტურული და ინტერკულტურული კომპეტენციების გამომუშავება, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებთან ზიარება, რეფლექსიისა და თვითრეფლექსიის უნარების განვითარება – ყველაფერი ეს მოზარდის პიროვნებად ფორმირების საფუძველია და სწორედ ასე მოიაზრებს ამ საგნის როლს ჩვენ მიერ შერჩეული ყველა ქვეყნის განათლების სისტემა.

მანანა რატიანი

48 **გარემოს დაცვა – გადაუდებელი აუცილებლობა**

ჩვენს საზოგადოებაში დეფიციტია მიმდინარე მოვლენების ანალიზის, ამ ანალიზის შედეგად კი პრობლემების იდენტიფიცირების, პოზიციის ჩამოყალიბებისა და მათი გადაჭრის. ძალიან მნიშვნელოვანია იმ საკითხების წინ წამოწევა, რომლებიც გარემოს დაცვას ეხება. იმ გარემოს, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, კიდევ ათეული წლები უნდა ვიცხოვროთ და ასევე ჩვენს შემდგომ თაობებსაც დავუტოვოთ.